

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 30.12.2004, მუხ. 200) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. კოდექსის 85-ე მუხლს მე-3 ნაწილის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ და 3² ნაწილები:

„3¹. საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების წარმოშობის შესახებ მარეგისტრირებული ორგანოსათვის გაგზავნილი შეტყობინება სავალდებულო წესით უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელს, გვარს და პირად ნომერს, იურიდიული პირის შემთხვევაში – სახელწოდებას და საიდენტიფიკაციო კოდს.

ბ) იმ ზღვრული თანხას, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს შესაბამისი ქონებიდან მოთხოვნის დაკმაყოფილება;

3². თუ საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების წარმოშობის შესახებ შეტყობინება არ შეიცავს ამ მუხლის 3¹ ნაწილით გათვალისწინებულ მონაცემებს მარეგისტრირებული ორგანო უარს აცხადებს საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების რეგისტრაციაზე“.

2. კოდექსის 85-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 და მე-11 ნაწილები:

„10. თუ საგადასახადო იპოთეკის/გირავნობის წარმოშობის შემდგომ შესაბამისი ქონება დაიტვირთა იპოთეკით/გირავნობით კომერციული ბანკის სასარგებლოდ და საგადასახადო ორგანო საგადასახადო იპოთეკის/გირავნობის წარმოშობიდან 1 წლის ვადაში არ მოახდენს საგადასახადო იპოთეკით/გირავნობით დატვირთული ქონების რეალიზაციას, მეორე რიგის იპოთეკარი/მოგირავნე (კომერციული ბანკი) უფლებამოსილია დაიკავოს პირველი რიგის იპოთეკარის ადგილი, ხოლო საგადასახადო ორგანო მეორე რიგისა“.

11. საგადასახადო იპოთეკით/გირავნობით დატვირთული ქონების რეალიზაციის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი